

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის

მიზნობრივი პროგრამა

2018 წლისთვის

ზომის ერთეული: ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

„სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების
მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამა“

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი:

1 იანვარი 2018წ.

31 დეკემბერი 2018წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

400000 (ოთხასი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი - 400000 ლარი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალურობის დასაბუთება:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობიდან და ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ხშირია სტიქიური მოვლენები. სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის, როგორც მუმიციპალიტეტის მოსახლეობას, ასევე მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურას. განსაკუთრებით მაღალია რისკი საცხოვრებელ სახლებთან მიმართებაში.

პროგრამული ღონისძიებები გათვლილია ძირითადი მიზნის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მიმართ არსებული სტიქიური რისკების პრევენციისათვის. ძირითადი ამოცანებია საცხოვრებელი სახლების მიმართებაში სტიქიური ზონის შესწავლა, პრევენციული ღონისძიებების (ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის) დაგეგმვა და ოჯახის ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ხელვაჩაურის მოსახლეობის განსაკუთრებით მაღალი სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა (ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობა).	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით მაღალი სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობა უზრუნველყოფს სტიქიური მოვლენებისგან სახლების დაზიანების პრევენციას და მათში მცხოვრებ ოჯახებს შეექმნებათ უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო.

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1.	პროგრამით გათვალისწინებული ოჯახების მდგომარეობის შესწავლა, შერჩევა.	X	X	X	X	X	X	X	X				
2.	ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის შესყიდვა			X	X	X	X	X	X	X			
3.	მშენებლობის კონტროლი და მიღება ჩაბარება					X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამით მოსარგებლე ოჯახების შერჩევის წესი:

მუხლი 1. ზოგადი დებულება და ოჯახის ცნება

1. ეს წესი არეგულირებს სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის წესს.

2. სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრებ ოჯახად ჩაითვლება ოჯახი, განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომლის საცხოვრებელი სახლი მდებარეობს სტიქიური მოვლენების რისკის ზონაში, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების მიმართ სტიქიური მოვლენების პრევენციისათვის განსახორციელებელია ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობა.

მუხლი 2. სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის განხორციელების პროცედურა

1. სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახის მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების განხილვაზე, მათი საცხოვრებელი სახლის მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის განხორციელებაზე გადაწყვეტილებას იღებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისია (შემდგომში - კომისია).

2. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერის) ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით.

3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.

4. სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობა გულისხმობს რისკის ზონაში მცხოვრებ ოჯახებს მიეცეთ საშუალება ისარგებლონ წინამდებარე პროგრამით.

5. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია ეტაპობრივად მოახდენს განცხადებების განხილვას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

6. კომისია განცხადებების განხილვის ეტაპობრივად.

7. საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის მსურველთა განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ID ბარათი ან პასპორტი) ქსეროასლი.

გ) ინფორმაცია ოჯახის შემადგენლობის შესახებ

ბ) საინჟინრი-გეოლოგიური დასკვნა.

გ) საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღიცივო დოკუმენტაცია.

გ) სტიქიური რისკის ზონაში მდებარე საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რესტრიდან, არქივის მიერ გაცემული ცნობა ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ.

ე) ცნობა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის არარსებობის შესახებ.

ვ) ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა ოჯახის (თითოეული წევრის) შემოსავლის შესახებ განაცხადის მომენტამდე ერთი წლის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადამოწმების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის მცდარი, განცხადება რჩება განუხილველი, რომლის მიზეზიც ეცნობება განმცხადებელს დასაბუთებული წერილობითი აქტის მეშვეობით. აღნიშნულის თაობაზე, საჭიროების შემთხვევაში, გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

8. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს კანონმდებლობის და საინჟინრო ნორმების სრული დაცვით, შესაბამისი გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე და მხოლოდ უნდა ემსახუროდეს საცხოვრებელი სახლის მიმართ არსებული გეოლოგიური რისკების პრევენციულ ღონისძიებებს.

9. წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს პროექტის ავტორის, ინჟინერ-კონსტრუქტორის და პროექტის ხარჯთაღრიცხვის ავტორის მიერ. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას უნდა ერთვოდეს დეფექტური აქტი, განმარტებით ბარათი და მითითებული უნდა იყოს შესაბამისი გეოლოგიური დასკვნა, რომლის საფუძველზეც შედგენილია პროექტი. ასევე სასურველია პროექტს ჩატარებული ქონდეს შესაბამისი ექსპერტიზა (პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის, ფასების ადეკვატურობის, კონსტრუქციული ნაწილის და სხვა), რომელიც საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას უნდა ერთვოდეს.

10. იმ შემთხვევაში თუ კომისია მიიჩნევს, რომ პრევენციული ღონისძიებების ფარგლებს მნიშვნელოვნად ცდება წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით შესასრულებელი სამუშაოები, ასეთ შემთხვევაში კომისია იტოვებს უფლებას დაუბრუნოს დოკუმენტაცია განმცხადებელს, რომ მან უზრუნველყოს პროექტის კორექტირება მხოლოდ პრევენციული ღონისძიებებისათვის ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების შესაბამისად.

11. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება გამცხადებელს.

12. განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერია ფერდსამაგრი კედლების მშენებლობას განახორციელებს მერიის მიერ 2018 წლის 1 იანვრამდე შექმნილი შესაბამისი პროექტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ასევე სოციალურად დაუცველ 100000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების სურვილის შემთხვევაში ფერდსამაგრი კედლების პროექტს მოამზადებს მერიის შესაბამისი სამსახური.

13. კომისია ახდენს განაცხადების დამუშავებას წინამდებარე წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად და ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას საცხოვრებელი სახლის მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის თაობაზე. განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

14. კომისიის მიერ განაცხადების დამუშავება გულისხმობს შემდეგს: სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახის საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების შესწავლას წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დამატებითი მონაცემების მოძიებასა და აუცილებელი მონაცემების მოთხოვნას განმცხადებლისგან; ასევე, მოპოვებული და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, მისი ოჯახის მდგომარეობის შეფასებას.

15. მუნიციპალიტეტი არ განიხილავს იმ სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების განაცხადებებს:

ა) მუნიციპალიტეტს განხორციელებული აქვს სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, გარდა იმ შემთხვევისა თუ პრევენციული ღონისძიება (ფერდსამაგრი ნაგებობის მშენებლობა) არასაკმარისია ან განმეორდა სტიქიური მოვლენები, რაც დასტურდება განმეორებით ჩატარებული კვლევების შედეგად გაცემული შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით.

ბ) ოჯახს გააჩნია ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი.

გ) ოჯახს გააჩნია განაცხადის მომენტამდე ერთი წლის განმავლობაში 40000 - ლარზე მეტი შემოსავალი.

დ) ასევე თუ ოჯახი მიიჩნევა ეკომიგრანტად და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებით არ მიიღება შედეგი.

16. შესაბამისი გადაწყვეტილება საცხოვრებელი სახლის მიმართ განსახორციელებული ღონისძიებების მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიიღება კომისიის მიერ და ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (დადებითი/უარყოფითი) ეცნობება დაზარალებულს წერილობით, რომელიც შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელი (მისი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი ან ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მასზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ოჯახის სრულწლოვანი წევრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე) ვალდებულია განაცხადოს წერილობითი თანხმობა, საცხოვრებელი სახლის მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის თაობაზე მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის პირობებით.

18. განმცხადებლის თანხმობის შემთხვევაში კომისია წარუდგენს წინადადებას მუნიციპალიტეტის მერს შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

19. მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური განხორციელებს სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მუხლი 3. სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის განხორციელების უზრუნველყოფის კრიტერიუმები

1. საცხოვრებელი სახლის მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით, ამ მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე განისაზღვრება სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საჭიროებების უპირატესობა.

ა) კომისიის მიერ განიხილება შემთხვევები, როცა სახეზეა მიმდინარე პერიოდში სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის აუცილებლობა, რადგანაც საფრთხე ექმნება საცხოვრებელ სახლს და საჭიროებს პრევენციულ ღონისძიებებს.

ბ) საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის განხორციელების აუცილებლობას და პრიორიტეტულობას კომისია განსაზღვრავს მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით (წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე).

გ) დახმარება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ოჯახზე განხორციელდება სოციალური სტატუსის გათვალისწინებით სოციალურად დაუცველ (100000 სარეიტინგო ქულა) ოჯახებზე სრულად; 100000-დან 200000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებზე 90%; 200000-ზე მეტი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებზე 70%-ით.

2. მუნიციპალიტეტის მიერ რისკის ზონაში არსებული საცხოვრებელი სახლის მიმართ პრევენციული ღონისძიებების განხორციელების დაფინანსების ზღვარი განისაზღვრება 2000 – დან 20 000 ლარამდე.

3. ოჯახის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 15 000 ლარზე ზევით შეფასებისას თანაგადახდა განხორციელდეს მათ მიერ (შენიშვნა: დანახარჯი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ პრევენციულ ღონისძიებებს და პროექტი უნდა იყოს გეოლოგიური დასკვნის ადეკვატური).

მუხლი 4. სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსების წესი

1. სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამით განსაზღვრული დახმარების დაფინანსების წესი რეგულირდება წინამდებარე წესისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად.
2. სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამით განსაზღვრული დახმარების დაფინანსების წესის ფარგლებში დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ.
3. განმცხადებელი ვალდებულია მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგინოს მისი წილის შესაბამისი თანხის ავანსის სახით გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი მერიასა და შემსრულებელს შორის ხელშეკრულების გაფორმებამდე.
4. ამ მუხლის მე-3 მპუნქტის დარღვევა გამოიწვევს განაცხადის დაკმაყოფილების შესახებ ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას.
5. მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას მე-3 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში განმეორებით არ დააკმაყოფილოს განმცხადებელი.

10. პროგრამის ბიუჯეტი:

პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ:
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	400000			400000
	სულ:		400000			400000

დამატებითი ინფორმაცია:

1. მუნიციპალიტეტის მიერ ფერდსამაგრი ნაგებობების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. მშენებლობის პროცესი და დაფინანსება განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.